

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვით შეფასების დეპარტამენტს

შეზღუდული პასუხისმგებლოვის საზოგადოება „მარიამი“
(ს/კ 420427791, რეგისტრირებული: ქალაქი ზუგდიდი, მოსკოვის ქუჩა, N 17)

მობ.: 592 307070

ელ. ფოსტა: ltdmariami2018@mail.ru

სკრინინგის ანგარიში

გაცნობებთ, რომ **შეზღუდული პასუხისმგებლოვის საზოგადოება „მარიამი“** (ს/კ420427791), რეგისტრირებული: ქალაქი ზუგდიდი, მოსკოვის ქუჩა, N17, დამონტაჟებული აქვს **ცეზოცემენტის წარმოებისათვის დანადგარები** ქალაქ ზუგდიდში, ილია ჭავჭავაძის ქუჩა #47, (GPS კოორდინატში X – 736950.00; Y – 4713100.00).

აღნიშნული საწარმოო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებული იქნება 110 მეტრით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის და ამავე კოდექსის მე-2 დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად - **შეზღუდული პასუხისმგებლოვის საზოგადოება „მარიამი“-ს მიერ ცეზოცემენტის წარმოების საამქროს** ფუნქციონირებასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასაგვლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს: ქალაქ ზუგდიდში, ილია ჭავჭავაძის ქუჩა #47, ს/კ **43.31.42.239** და წარმოადგენს ფიზიკური პირი - ვერიკო მაჭავარიანის (პ/ნ 9001007106) საკუთრებას და იჯარით აქვს აღებული. აღნიშნული ტერიტორიის ფართია 488 მ².

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი, კერძოდ სილის შრობის ხაზისა და მშრალი სამშენებლო ნარევეების წარმოების ტექნოლოგიური პროცესი შემდეგია:

- ქვიშა, რომელიც შემოიტანება ავტოტრანსპორტით, იყრება სასაწყობო ტერიტორიაზე;
- ცემენტი საწარმოში ასევე შემოდის ავტოტრანსპორტით ტომრებში დაფასოვებულის სახით და საწყობდება სასაწყობო ტერიტორიაზე;
- საშრობ ბარაბანში, რომლის დიამეტრია 1000 მმ და სიგრძე 5 მ (სურ. 02), ქვიშა იყრება ხელით;
- ბუნებრივი აირი აღის სახით მიეწოდება საშრობ ბარაბანს. მფრქვევანას თავზე (სურ. 01) დამონტაჟებულია საერთო გამწოვი მილი 250მმ დიამეტრის და 8 მეტრი სიმაღლის. ერთ ოპერაციაზე 700 კგ ქვიშას გამოშრობას სჭირდება 10 კუბ.მ გაზი, რომელიც გრძელდება 5 საათის განმავლობაში, ანუ საათში ხდება 140 კგ ქვიშის შრობა და იხარჯება 2 მ³ ბუნებრივი აირი..
- საშრობი ბარაბანიდან გამოშრობილი ქვიშა ტრანსპორტით მეშვეობით აღის მიქსერის ტიპის შემრევ 1კუბიან ბუნკერში (სურ. 03);

- ოთახში სადაც განთავსებულია ქვიშის ტრანსპორტიორი და შემრევი ბუნკერი დამონტაჟებულია მტვერის გამწოვი (სურ. 04) ვინტილატორი, რომლის მეშვეობითაც მტვერი გადადის გვერდით მტვერის შემკრებ ოთახში ზომებით (3მ x 4მ), რომელიც ასრულებს მტვერდამჭერი საკნის ფუნქციას და მისი ეფექტურობა ტოლია არანაკლებ 50 %-ის;
- მტვერის შემკრებ ოთახში დამონტაჟებულია გამწოვი სისტემა, საიდანაც აღნიშნული საკნიდან აირმტვერნარევი გაიფრქვევა ატმოსფეროში მილით, რომლის დიამეტრია და 200 მმ, და სიმაღლე მიწისპირიდან 8 მეტრი (სურათი 5);
- შემრევი ბუნკერში ერთ დოზირებაზე იყრება 700 კგ ქვიშა, 300 კგ ცემენტი და 1,5 კგ ქიმიური მინარევი პოლიმერი (ტულოსი). ურთიერთ შერევის შემდგომ ბუნკერიდან მზა წებოცემენტი მილის საშუალებით იყრება და ფასოვდება ტომრებში (სურ. 06).
- საწარმოს მაქსიმალური სიმძლავრე პროდუქციის წებოცემენტის პროდუქციის წარმოებისათვის შეადგენს 0,2 ტ/სთ , ხოლო დღეში 8 საათიანი სამუშაო დღით 1 ტ და წელიწადში 260 სამუშაო დღით 260 ტ/წელ.
- წებოცემენტის წარმოების ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს: ცემენტი; კვარცის ქვიშა და ქიმიკატები. ქიმიკატებს წარმოადგენს: ცელულოზის ეთერები, თანაპოლიმერები; სამშენებლო მოდიფიცირებული სახამებელი; აკრილის პოლიმერები.

1 ტონა წებოცემენტის წარმოებისათვის საშუალოდ იხარჯება:

- ქვიშა - 700 კგ;
- ცემენტი - 300 კგ;
- ქიმიური დანამატები - 1.5 კგ.

აღნიშნულ ტერიტორიაზე დღევანდელი მდგომარეობით უკვე მოწყობილია წებოცემენტის წარმოებისათვის საჭირო დანადგარები.



სურათი. 1. საშრობი ბარაბნის გაზის მფრქვევანა გამწოვი მილით.



სურათი. 2. საშრობი ზარაზნი.



სურათი. 3. შემრევი ბუნკერი.



სურათი. 4. გამწოვი ვენტილაცია



სურათი. 5. მტვრის დამჭერი საკანი (ოთახი) .



სურათი. 6. წებოცემენტის ტომრებში დაფასოვება.

260 ტონა წებოცემენტის წარმოებისათვის საშუალოდ იხარჯება:

- ქვიშა - 182 ტ;
- ცემენტი - 78 ტ;
- ქიმიური დანამატები - 0,390 ტ.

საწარმოს ტერიტორიის მისასვლელი გზა წარმოადგენს ქ. ზუგდიდის შიდა ასფატირებულ გზა.

საწარმოო ტერიტორიის საზღვრიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 110 მეტრით.

მდინარე ჩხოუში დაშორებულია 150 მეტრით.

საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ (გვერდით) სამხრეთი მხრიდან ესაზღვრება ტერიტორია სასაწყობო შენობით.

საწარმოო ტერიტორიის ჩრდილოეთ მხარეს 90 მეტრში მდებარეობს ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი და სასაქონლო ბეტონის წარმოების საამქრო.

საწარმოო ტერიტორიაზე არსებობს შიდა საკანალიზაციო სისტემა, რომელიც მიერთებული იქნება ქ. ზუგდიდის საკანალიზაციო სისტემაზე.

საწარმოო მიზნებისათვის წყალი არ გამოიყენება. წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, რომლის მომარაგება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში.

წებოცემენტის წარმოებისას ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი, ცემენტის მტვერი და ქვიშის საშრობ დოლში ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილი მავნე აირები - აზოტის ორჟანგი და ნახშირჟანგი.

წებოცემენტის წარმოებისას გაფრქვევის სტაციონარულ წყაროებს წარმოადგენს:

- ნედლეულის (ქვიშის) საწყობი;
- ქვიშის საშრობი დოლი;
- წებოცემენტის შემრევი დანადგარიდან გამოყოფილი აირმტვერნარევის გაფრქვევის მილი მტვერდამჭერი საკნით;
- წებოცემენტის დაფასოვება ტომრებში.

თუ გავითვალისწინებთ მტვრის გამოყოფის ზემოთ აღნიშნულ წყაროებს, საწარმოს მცირე სიმძლავრეს (0.2 ტ/სთ) და მტვერდამლექი კამერის გამოყენებას, უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობები არ უნდა აჭარბებდეს დასაშვებ ნორმებს.

საწარმოს ფუნქციონირებისას წყალი საწარმოო მიზნებისათვის არ გამოიყენება და გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. წყლის მომარაგება მოხდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლების ჩაშვება განხორციელდება ქ. ზუგდიდის საკანალიზაციო სისტემაში.

საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ნარჩენების განთავსებისათვის უბანი, სადაც განთავსებულია ნაგვის ურნები დასტიკეტებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ხმაურის დონე თითოეული დანადგარიდან არ გადააჭარბებს 75 დბ-ს, ასევე საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 110 მეტრით.

კერძოდ საწარმოდან ხმაურის დონეების მნიშვნელობები მოცემულია ქვემოთ ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1.

ბგერითი სიმძლავრის დონეები

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული	ბგერითი წნევის დონეები დეციბალბში, საწარმოდან r მანძილზე (მ)								
	50	70	90	110	150	200	250	300	350
63	33.02	30.10	27.92	26.17	23.48	20.98	19.04	17.46	16.12
125	32.99	30.05	27.85	26.10	23.37	20.84	18.87	17.25	15.87
250	32.95	29.99	27.78	26.01	23.25	20.68	18.67	17.01	15.59
500	32.87	29.89	27.65	25.84	23.03	20.38	18.29	16.56	15.07
1000	32.72	29.68	27.38	25.51	22.58	19.78	17.54	15.66	14.02
2000	32.42	29.26	26.84	24.85	21.68	18.58	16.04	0.00	0.00
4000	31.82	28.42	25.76	23.53	19.88	0.00	0.00	0.00	0.00
8000	30.62	26.74	23.60	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს საწარმოდან 50 მეტრ მანძილზე ხმაურის დონე არ აჭარბებს დასაშვებ ნორმებს. მით უმეტეს 110 მეტრზე.

საწარმოო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ხე მცენარეები, ასევე ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში ასევე მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობის სპეციპიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საწარმო დნადგარების მონტაჟის დროს არაა მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. შემდგომში რაიმე მიწის სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის არსებობის შემთხვევაში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სრული კანონმდებლობის დაცვით დასაწყობებული იქნება საწარმოო ტერიტორიაზე.

საწარმოში ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე რაიმე სახის მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

საწარმოს ფუნქციონირებისას ბუნებრივი რესურსებიდან გამოიყენება მხოლოდ ქვიშა და წყალი(საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის).

საწარმოს ოპერირებისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ უმნიშვნელო საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში მაქსიმუმ 2.19 მ³-ის ოდენობით). აღნიშნული ნარჩენებისა და ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ჩვრები და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების

გათვალისწინებით, კერძოდ მათი დროებითი განთავსება, ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციებზე.

საწარმოს ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ საწარმოო ტერიტორიიდან 90 მეტრში არსებული ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი და სასაქონლო ბეტონის საამქროს ფუნქციონირებით.

ჯანმრთელობის რისკი საწარმოს ოპერირებისას როგორც წესი, უკავშირდება მხოლოდ საწარმოში შესაძლო მექანიკური ტრამვით. ასევე საწარმოში დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობის რისკები დაკავშირებული იქნება ელექტრომოწყობილობებთან ურთიერთობით, რომელმაც გაუფრთხილებლობის შემთხვევაში გამოიწვიოს ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანება, თვით გარდაცვალებაც. აღნიშნული პროცესში დაზიანების რისკის მინიმალიზაცია გათვალისწინებულია იმით, რომ აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება იმ თანამშრომლების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ ამ სამუშაოებისათვის სპეც ტანცაცმლი (რეზინის ხელთათმანები, ჩექმების და რეზინის წინსაფრები).

ყოველივე აქედან გამომდინარე პერსონალის ჯანმრთელობის რისკის ფაქტორები პრაქტიკულად ნულამდეა დაყვანილი.

საწარმოს განკუთვნილი ტერიტორია დაცული ტერიტორიებიდან დიდი მანძილითაა დაშორებული და აქედან გამომდინარე შემოთავაზებული მდებარეობა არ ახდენს უარყოფით გავლენას დაცულ ტერიტორიებზე.

საწარმოს შემოთავაზებული ადგილზე არ არის მიწისზედა ძეგლები (ისტორიული მნიშვნელობის აქტივები ან ნაგებობები). ასევე საწარმოს ფუნქციონირების დაწყებისათვის არ იწარმოება არავითარი მშენებლობა, რადგან ის მთლიანად განთავსებული იქნება უკვე არსებულ შენობაში.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით საწარმოში მოსალოდნელია შემდეგი სახის ავარიები და ავარიული სიტუაციები:

- * ხანძარი;
- * საგზაო შემთხვევები;
- * პერსონალის დაშავება (ტრავმატიზმი);
- * ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციები (მარგინალური ამინდის პირობები, მიწისძვრა, წყალმოვარდნა და სხვ.).


უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ავარიული სიტუაციები შესაძლოა თანმდევი პროცესი იყოს და ერთი სახის ავარიული სიტუაციის განვითარებამ გამოიწვიოს სხვა სახის ავარიის ინიცირება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების მოთხოვნების მიხედვით, გეგმაში დოკუმენტირებული უნდა იყოს ავარიული შემთხვევებით გამოწვეული ავარიების დროს სწრაფი, სათანადო და ეფექტური რეაგირების ყველა ასპექტი.

ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმის საფუძველს წარმოადგენს გეგმის მოქმედების ზონისა და გეგმის შემუშავების სამართლებრივი და ნორმატული ბაზის განსაზღვრა. გარდა ამისა, გეგმის შემუშავებისათვის აუცილებელია საწარმოო მოედნის განლაგების ეკოლოგიური დახასიათება, განსაკუთრებით მგრძობიარე (სენსეტიური) ეკოსისტემების განსაზღვრა, რაც შესრულებულია წინამდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში.

გეგმა უნდა შეიცავდეს რეკომენდაციებს ხანძრის გაჩენის აცილების ღონისძიებების შესახებ. მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ინციდენტის შესახებ შეტყობინების ქსელის დაგეგმვა და შექმნა, აგრეთვე საკონტაქტო ინფორმაციის ფორმების განსაზღვრა. გეგმაში განსაზღვრული უნდა იყოს ყველა ავარიული სიტუაციაზე რეაგირება და შემდგომი მართვის საკითხები.

დანართი 1. საწარმოს განთავსების სიტუაციური ნახაზი.



დანართი 2. საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთის ამონაწერი.



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 43.31.42.239

ამონაწერი საჯარო რეგისტრდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019786631 - 24/09/2019 15:16:06

მოწმადების თარიღი
10/10/2019 16:33:52

საკუთრების განყოფილება

ზონა შუგელი	სექტორი ქ. შუგელი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამზატებული ფართობი: 488.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 43.31.42.231;
43	31	42	239	

მისამართი: შუგელის მუნიციპალიტეტი, ქალაქი შუგელი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა, N 47

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019786631 , თარიღი 24/09/2019 15:16:06
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/10/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადაწვეტილება N353947 , დამოწმების თარიღი:10/10/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:23/08/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:
ვერიკო მატყაბერიანი, P/N: 19001007106

მესაკუთრე:
ვერიკო მატყაბერიანი

ბლწურა:

იპოთეკა

საგადასახადო გარანტია:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყბაღაბა/კრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეგისტრირებული:

რეგისტრირებული არ არის

საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)

დანართი 3. მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზი.



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **43.31.42.239**
განცხადების ნომერი: **882019786631**
მომზადების თარიღი: **10/10/2019**

ნაკვეთის დანიშნულება:
ფართობი:

არასასოფლო-სამეურნეო
488 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)
488 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 37N)

